

საქართველოს მხრიდან რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის
2005 წლის 11 ოქტომბრის N 1917 – III დადგენილებით

შეთანხმება საქართველოსა და ავსტრიის რესპუბლიკას შორის შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ

საქართველოსა და ავსტრიის რესპუბლიკა, სურთ რა ხელი შეუწყონ და გააძლიერონ ეკონომიკური, კულტურული და სამეცნიერო ურთიერთობები შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შეთანხმების დადების გზით,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

პირები, რომლებმაც ვრცელდება შეთანხმება

ეს შეთანხმება გამოიყენება იმ პირთა მიმართ, რომლებიც წარმოადგენენ ერთი, ან ორივე ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტებს.

მუხლი 2

გადასახადები, რომლებმაც ვრცელდება შეთანხმება

1. ეს შეთანხმება გამოიყენება შემოსავლებსა და კაპიტალზე იმ გადასახადების მიმართ, რომელთა დაკისრება ხდება ხელშემკვრელი სახელმწიფოს ან მისი პოლიტიკური ქვედანაყოფების ან ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ, მათი გადახდის წესის მიუხედავად.

2. შემოსავლებსა და კაპიტალზე გადასახადებად ითვლება ყველა ის გადასახადი, რომლითაც იბეგრება შემოსავლის მთლიანი თანხა, მთლიანი კაპიტალი ან შემოსავლის ან კაპიტალის ცალკეული ელემენტი, უძრავი ან მოძრავი ქონების გასხვისებით მიღებულ შემოსავლებზე გადასახადების, საწარმოს მიერ გადახდილი ხელფასის ან გასამრჯელოს მთლიან თანხებზე გადასახადების, აგრეთვე კაპიტალის ღირებულების მაგებიდან მიღებულ შემოსავლებზე გადასახადების ჩათვლით.

3. არსებული გადასახადები, რომლებმაც ვრცელდება ეს შეთანხმება:

a) ავსტრიის რესპუბლიკის შემთხვევაში:

(i) საშემოსავლო გადასახადი;

(ii) კორპორაციული გადასახადი;

(iii) მიწის გადასახადი;

(iv) სოფლის და საგყეო მეურნეობის საწარმოების გადასახადი; და

(v) გამოუყენებელ მიწის ნაკვეთზე გადასახადი;

(შემდგომში „ავსტრიის გადასახადი“);

- b) საქართველოს შემთხვევაში:
(i) საწარმოთა მოგების გადასახადი;
(ii) საწარმოთა ქონების გადასახადი;
(iii) ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადი; და
(iv) ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი;
(შემდგომში „საქართველოს გადასახადი“).

4. ეს შეთანხმება გამოიყენება აგრეთვე ყველა იდენტიური ან არსებითად ანალოგიური გადასახადების მიმართ, რომლებიც ამ შეთანხმებაზე ხელმოწერის შემდეგ იქნება დაწესებული არსებული გადასახადების დამატებით ან მათ ნაცვლად. ხელშემკვრელ სახელმწიფოთა კომპეტენტური ორგანოები ერთმანეთს აცნობებენ მათ საგადასახადო კანონმდებლობაში შეტანილი არსებითი ცვლილებების შესახებ.

მუხლი 3 ზოგადი განსაზღვრებები

1. ამ შეთანხმების მიზნებისათვის, თუ კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს:

- a) ტერმინი „ავსტრია“ ნიშნავს ავსტრიის რესპუბლიკას;
- b) ტერმინი „საქართველო“ ნიშნავს მსოფლიო თანამეგობრობის მიერ აღიარებულ სივრცეს მის საზღვრებში, მათ შორის სახმელეთო სივრცეს, შიდა წყლებსა და ტერიტორიულ ზღვას, მათ ზემოთ საჰაერო სივრცეს, რომლებზეც საქართველო ახორციელებს სუვერენიტეტს; ასევე მის ტერიტორიულ ზღვასთან მიმდებარე განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონასა და კონტინენტურ შეღწეს, რომელთა მიმართ საქართველოს შეუძლია განახორციელოს თავისი სუვერენული უფლებები საერთაშორისო სამართლის შესაბამისად;
- c) ტერმინი „ხელშემკვრელი სახელმწიფო“ და „მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფო“ ნიშნავს ავსტრიას ან საქართველოს, კონტექსტის შესაბამისად;
- d) ტერმინი „პირი“ მოიცავს ფიზიკურ პირს, კომპანიას და პირთა ნებისმიერ სხვა გაერთიანებას;
- e) ტერმინი „კომპანია“ ნიშნავს ნებისმიერ კორპორაციულ წარმონაქმნს ან ნებისმიერ ერთეულს, რომელიც გადასახადით დაბეგვრის მიზნით განიხილება, როგორც დაბეგვრის სუბიექტი;
- f) ტერმინი „საწარმო“ გამოიყენება ნებისმიერი ბიზნესის მიმართ;
- g) ტერმინი „ხელშემკვრელი სახელმწიფოს საწარმო“ და „მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს საწარმო“ შესაბამისად ნიშნავს საწარმოს, რომლის მართვა ხორციელდება ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტის მიერ და საწარმოს, რომლის მართვა ხორციელდება მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტის მიერ;
- h) ტერმინი „საერთაშორისო გადაზიდვა“ ნიშნავს ნებისმიერ გადზიდვას საზღვაო გემებისა და საჰაერო ხომალდებით, რომელთა ექსპლოატაცია ხდება საწარმოს მიერ, რომლის ფაქტიური მართვის ადგილი მდებარეობს ხელშემკვრელ სახელმწიფოში, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც საზღვაო გემებისა და საჰაერო ხომალდების ექსპლოატაცია ხდება მხოლოდ მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში განლაგებულ პუნქტებს შორის;

i) გერმინი „კომპეგენგური ორგანო“ ნიშნავს:

(i) ავსტრიის რესპუბლიკის შემთხვევაში, ფინანსთა ფედერალურ მინისტრს ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს;

(ii) საქართველოს შემთხვევაში, ფინანსთა სამინისტროს ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს;

(j) გერმინი „ნაციონალური პირი“ ნიშნავს:

(i) ნებისმიერ ფიზიკურ პირს, რომელსაც აქვს ხელშემკვრელი სახელმწიფოს მოქალაქეობა; და

(ii) ნებისმიერ იურიდიულ პირს, ამხანაგობას ან ასოციაციას, რომელსაც ასეთი სტატუსი მიღებული აქვს ხელშემკვრელი სახელმწიფოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე;

k) გერმინი „ბიზნესი“ მოიცავს პროფესიული მომსახურების გაწევას და დამოუკიდებელი ხასიათის სხვა საქმიანობას.

2. ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ ამ შეთანხმების გამოყენების დროს ნებისმიერ გერმინს, რომელიც არ არის მასში განსაზღვრული, ექნება ის მნიშვნელობა, რაც მას ენიჭება ამ სახელმწიფოს კანონმდებლობით იმ გადასახადების მიმართ, რომლებზეც ვრცელდება ეს შეთანხმება, თუ კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. ხელშემკვრელი სახელმწიფოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებული გერმინების განსაზღვრებებს უპირატესობა ენიჭებათ იმ განსაზღვრებებთან მიმართებაში, რომლებიც მათ გააჩნიათ ამ სახელმწიფოს სხვა კანონებით.

მუხლი 4

რეზიდენტი

1. ამ შეთანხმების მიზნებიდან გამომდინარე, გერმინი „ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი“ ნიშნავს ნებისმიერ პირს, რომელიც ამ სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად ექვემდებარება დაბეგვრას მისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის, ცხოვრების ადგილის, მართვის ადგილის ან ანალოგიური შინაარსის მქონე ნებისმიერი სხვა კრიტერიუმის საფუძველზე და ასევე მოიცავს ამ სახელმწიფოს და მის პოლიტიკურ ქვედანაყოფს, ან ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოს. ეს გერმინი, ამასთან, არ მოიცავს პირს, რომელიც ექვემდებარება დაბეგვრას ამ სახელმწიფოში, მხოლოდ მასში არსებული წყაროებიდან მიღებულ შემოსავლებთან მიმართებაში ან იქ განთავსებულ კაპიტალთან დაკავშირებით.

2. იმ შემთხვევაში, როდესაც ამ მუხლის პირველი პუნქტის დებულებათა შესაბამისად, ფიზიკური პირი წარმოადგენს ორივე ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტს, მისი სტატუსი განისაზღვრება შემდეგნაირად:

a) ის ჩაითვლება იმ სახელმწიფოს რეზიდენტად, სადაც მას აქვს მუდმივი საცხოვრებელი; თუ მას მუდმივი საცხოვრებელი აქვს ორივე სახელმწიფოში, ის ჩაითვლება მხოლოდ იმ სახელმწიფოს რეზიდენტად, სადაც მას გააჩნია უფრო მჭიდრო

პირადი და ეკონომიკური კავშირები (სასიცოცხლო ინტერესების ცენტრი);

- b) თუ შეუძლებელია იმ სახელმწიფოს დადგენა, სადაც მას აქვს სასიცოცხლო ინტერესების ცენტრი ან თუ მას მუდმივი საცხოვრებელი ადგილი არ აქვს არც ერთ სახელმწიფოში, ის ჩაითვლება მხოლოდ იმ სახელმწიფოს რეზიდენტად, სადაც იგი ჩვეულებრივ ცხოვრობს;
- c) თუ ის ჩვეულებრივ ცხოვრობს ორივე სახელმწიფოში ან არ ცხოვრობს არც ერთ მათგანში, ის ჩაითვლება მხოლოდ იმ სახელმწიფოს რეზიდენტად, რომლის მოქალაქესაც ის წარმოადგენს;
- d) თუ ის არის ორივე სახელმწიფოს ან არ არის არც ერთი მათგანის მოქალაქე, მაშინ ხელშემკვრელ სახელმწიფოთა კომპეტენტური ორგანოები საკითხს გადაწყვეტენ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

3. იმ შემთხვევაში, როდესაც ამ მუხლის პირველი პუნქტის დებულებათა შესაბამისად, პირი, რომელიც არ არის ფიზიკური პირი, წარმოადგენს ორივე ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტს, მაშინ იგი ჩაითვლება მხოლოდ იმ სახელმწიფოს რეზიდენტად, რომელშიც მდებარეობს მისი ფაქტიური მართვის ადგილი.

მუხლი 5

მუდმივი დაწესებულება

1. ამ შეთანხმების მიზნებიდან გამომდინარე, გერმინი „მუდმივი დაწესებულება“ ნიშნავს საქმიანობის ფიქსირებულ ადგილს, რომლის მეშვეობითაც საწარმოს საქმიანობა ხორციელდება მთლიანად ან ნაწილობრივ.

2. გერმინი „მუდმივი დაწესებულება“ მოიცავს, კერძოდ:

- a) მართვის ადგილს;
- b) ფილიალს;
- c) ოფისს;
- d) ფაბრიკა- ქარხანას;
- e) სახელოსნოს, და
- f) მაღაროს, ნავთობის ან გაზის ჭაბურღილს, კარიერს ან ბუნებრივი რესურსების მოპოვების ნებისმიერ სხვა ადგილს.

3. სამშენებლო მოედანი, სამონტაჟო ან საამწყოობო ობიექტი მუდმივ დაწესებულებად ითვლება მაშინ, თუ ის არსებობს 6 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში.

4. ამ მუხლის წინა დებულებათა მიუხედავად, გერმინი მუდმივი დაწესებულება არ მოიცავს:

- a) ნაგებობების გამოყენებას მხოლოდ საწარმოს კუთვნილი საქონლის ან ნაკეთობების მარაგის შენახვის, დემონსტრირების ან მიწოდების მიზნით;
- b) საქონლის ან ნაკეთობების იმ მარაგების შენახვას, რომლებიც საწარმოს გააჩნია მხოლოდ შენახვის, მიწოდების ან დემონსტრირების მიზნით;
- c) საქონლის ან ნაკეთობების იმ მარაგების შენახვას, რომლებიც საწარმოს გააჩნია მხოლოდ სხვა საწარმოს მიერ მათი გადაამუშავების მიზნით;

- d) საქმიანობის ფიქსირებული ადგილის გამოყენებას მხოლოდ საწარმოსათვის საქონლის ან ნაკეთობების შესყიდვის ან ინფორმაციის შეგროვების მიზნით;
- e) საქმიანობის ფიქსირებული ადგილის გამოყენებას საწარმოსათვის მხოლოდ მოსამზადებელი ან დამხმარე ხასიათის ნებისმიერი სხვა საქმიანობის განხორციელების მიზნით;
- f) საქმიანობის ფიქსირებული ადგილის გამოყენებას ამ პუნქტის a)-e) ქვეპუნქტებში ჩამოთვლილ საქმიანობათა სახეობების ნებისმიერი კომბინაციის განსახორციელებლად, იმ პირობით, რომ ფიქსირებული ადგილიდან წარმოებულ საერთო საქმიანობას, რომელიც წარმოიშობა ასეთი კომბინაციის შედეგად, აქვს მოსამზადებელი ან დამხმარე ხასიათი.

5. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების დებულებების მიუხედავად, თუ პირი, რომელიც არ წარმოადგენს ამ მუხლის მე-6 პუნქტში აღნიშნულ დამოუკიდებელი სტატუსის მქონე აგენტს, მოქმედებს საწარმოს სახელით, აქვს და ჩვეულებრივ იყენებს ხელშემკვრელ სახელმწიფოში საწარმოს სახელით კონტრაქტის დადების უფლებამოსილებას, მაშინ ეს საწარმო განიხილება, როგორც მუდმივი დაწესებულების მქონე ამ სახელმწიფოში. იგივე გავრცელდება ამ პირის მიერ საწარმოსათვის განხორციელებულ ნებისმიერ საქმიანობასთან დაკავშირებით, იმ საქმიანობის გარდა, რომელიც აღწერილია ამ მუხლის მე-4 პუნქტში. ეს უკანასკნელი, განხორციელებული თუნდაც საქმიანობის ფიქსირებული ადგილის მეშვეობით, ამ პუნქტის დებულებათა შესაბამისად, საქმიანობის ამგვარ ფიქსირებულ ადგილს არ გადააქცევს მუდმივ დაწესებულებად.

6. საწარმო არ განიხილება ხელშემკვრელ სახელმწიფოში მუდმივი დაწესებულების მქონედ, თუ ის ამ სახელმწიფოში თავის საქმიანობას ახორციელებს ბროკერის, კომისიონერის ან დამოუკიდებელი სტატუსის მქონე ნებისმიერი სხვა აგენტის მეშვეობით, იმ პირობით, თუ ეს პირები მოქმედებენ თავიანთი ჩვეული პროფესიული საქმიანობის ფარგლებში.

7. ის ფაქტი, რომ კომპანია, რომელიც არის ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი, აკონტროლებს ან კონტროლდება მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტის კომპანიის მიერ ან რომელიც საქმიანობას ახორციელებს მეორე სახელმწიფოში (მუდმივი დაწესებულების მეშვეობით ან სხვა სახით) , თავისთავად არ გადააქცევს ერთ-ერთ ამ კომპანიას მეორის მუდმივ დაწესებულებად.

მუხლი 6

შემოსავალი უძრავი ქონებიდან

1. ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტის მიერ მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში მდებარე უძრავი ქონებიდან მიღებული შემოსავალი (სოფლის ან საცყეო მეურნეობიდან მიღებული შემოსავლის ჩათვლით), შეიძლება დაიბეგროს ამ მეორე სახელმწიფოში.
2. ტერმინს „უძრავი ქონება“ აქვს ის მნიშვნელობა, რომელიც მას გააჩნია იმ ხელშემკვრელი სახელმწიფოს კანონმდებლობით, რომელშიც მდებარეობს განსახილველი ქონება. ტერმინი, ნებისმიერ შემთხვევაში, მოიცავს იმ ქონებასაც,

რომელსაც უძრავი ქონების მიმართ დამხმარე ხასიათი აქვს, პირუტყვს, სოფლისა და საგყო მურნეობაში გამოყენებულ მოწყობილობას, უფლებებს, რომლებსაც ეხება მიწის საკუთრებასთან დაკავშირებული ზოგადი სამართლის დებულებები, უძრავი ქონების უზუფრუქტს, უფლებებს ცვლად ან ფიქსირებულ ანაზღაურებებზე, რომლებიც წარმოადგენენ კომპენსაციას მინერალური წიაღისეულის, საბადოების და სხვა ბუნებრივი რესურსების დამუშავებისათვის ან დამუშავების უფლებისა; საზღვაო გემები და ხომალდები უძრავ ქონებად არ განიხილება.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის დებულებები ეხება უძრავი ქონების პირდაპირი გამოყენების ან ნებისმიერი სხვა ფორმით გამოყენების შედეგად მიღებულ შემოსავლებს.

4. ამ მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების დებულებები ეხება აგრეთვე საწარმოს უძრავი ქონებიდან მიღებულ შემოსავლებს.

მუხლი 7

მოგება ეკონომიკური საქმიანობიდან

1. ხელშემკვრელი სახელმწიფოს საწარმოს მოგება იბეგრება მხოლოდ ამ სახელმწიფოში, თუ ეს საწარმო თავის საქმიანობას მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში არ ახორციელებს იქ განლაგებული მუდმივი დაწესებულების მეშვეობით. თუ საწარმო ამგვარად ახორციელებს საქმიანობას, მაშინ მისი მოგება შეიძლება დაიბეგროს მეორე სახელმწიფოში, მაგრამ იმ ნაწილში, რომელიც მიეკუთვნება ამ მუდმივ დაწესებულებას.

2. ამ მუხლის მე-3 პუნქტის დებულებების გათვალისწინებით, იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშემკვრელი სახელმწიფოს საწარმო მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში ახორციელებს საქმიანობას იქ განლაგებული მუდმივი დაწესებულების მეშვეობით, მაშინ თითოეულ ხელშემკვრელ სახელმწიფოში ამ მუდმივ დაწესებულებას მიეკუთვნება მოგება, რომელიც მას შეიძლებოდა მიეღო, როგორც იმავე ან ანალოგიური საქმიანობით დაკავებულ, იმავე ან ანალოგიურ პირობებში მყოფ ცალკე გამოყოფილ, დამოუკიდებელ საწარმოს, რომელიც მოქმედებს იმ საწარმოსგან სრულიად დამოუკიდებლად, რომლის მუდმივ დაწესებულებასაც იგი წარმოადგენს.

3. მუდმივი დაწესებულების მოგების განსაზღვრისას დასაშვებია იმ ხარჯების გამოქვითვა, რომლებიც გაწეულია მუდმივი დაწესებულების საქმიანობის მიზნებისათვის, მმართველობითი და საერთო ადმინისტრაციული ხარჯების ჩავთვლით, იმის მიუხედავად, ეს ხარჯები იმ სახელმწიფოშია გაწეული, სადაც იმყოფება მუდმივი დაწესებულება, თუ მის ფარგლებს გარეთ.

4. თუ ხელშემკვრელ სახელმწიფოში ჩვეულებრივ მუდმივი დაწესებულების მოგების განსაზღვრა მიღებულია საწარმოს მთლიანი მოგების მის ცალკეულ ნაწილებზე განაწილების საფუძველზე, მაშინ ამ მუხლის მე-2 პუნქტი ვერანაირად ვერ შეუშლის ხელს ხელშემკვრელ სახელმწიფოს დასაბეგრი მოგების ოდენობის ამგვარი განაწილების წესით განსაზღვრაში. განაწილების მეთოდი ამასთან უნდა იყოს ისეთი, რომ შედეგი იმყოფებოდეს ამ მუხლის პრინციპებთან შესაბამისობაში.

5. მუდმივ დაწესებულებას არავითარი მოგება არ მიეწერება საწარმოსათვის მხოლოდ საქონლის ან ნაკეთობების შექმნის საფუძველზე.

6. წინა პუნქტის მიზნებიდან გამომდინარე, მუდმივი დაწესებულების მოგება ყოველწლიურად განისაზღვრება ერთი და იგივე მეთოდით, სანამ მის შესაცვლელად

რაიმე დამაჯერებელი და საკმარისი მიზეზი არ წარმოიშობა.

7. იმ შემთხვევაში, როდესაც მოგება შეიცავს შემოსავლის ისეთ სახეებს, რომლებიც ამ შეთანხმების სხვა მუხლებში ცალკეა განხილული, მაშინ მათზე ამ მუხლის დებულებები გავლენას ვერ იქონიებს.

მუხლი 8

საზღვაო და საჰაერო გრანსპორტი

1. საერთაშორისო გადაზიდვებში საზღვაო გემებისა და საჰაერო ხომალდების ექსპლოატაციიდან მიღებული მოგება იბეგრება მხოლოდ იმ ხელშემკვრელ სახელმწიფოში, რომელშიც მდებარეობს საწარმოს ფაქტიური მართვის ადგილი.

2. თუ სანაოსნო საწარმოს მართვის ადგილი განთავსებულია გემბანზე, ის ჩაითვლება იმ ხელშემკვრელ სახელმწიფოში არსებულად, რომელშიც მდებარეობს გემის მიწერის ნავსადგური. მიწერის ნავსადგურის არარსებობის შემთხვევაში, ჩაითვლება იმ სახელმწიფოში მდებარედ, ვის რეზიდენცსაც წარმოადგენს პირი, რომელიც გემის ექსპლოატაციას ახორციელებს.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის დებულებები გამოიყენება აგრეთვე იმ მოგებების მიმართ, რომელიც მიიღება პულში, ერთობლივ საწარმოებში ან საერთაშორისო გადაზიდვების სააგენტოების მუშაობაში მონაწილეობიდან.

მუხლი 9

ასოცირებული საწარმოები

1. იმ შემთხვევაში, როდესაც:

a) ხელშემკვრელი სახელმწიფოს საწარმო პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობს მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს საწარმოს მართვაში, კონტროლში ან კაპიტალში, ან

b) ერთი და იგივე პირები პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობენ ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს საწარმოსა და მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს საწარმოს მართვაში, კონტროლში ან კაპიტალში,

და ორივე შემთხვევაში ამ ორ საწარმოს შორის კომერციულ ან ფინანსურ ურთიერთობებში იქმნება ან მყარდება პირები, განსხვავებული იმათგან, რომლებსაც ადგილი ექნებოდათ ორ დამოუკიდებელ საწარმოს შორის ურთიერთობაში, მაშინ ნებისმიერი მოგება, რომელიც შეიძლებოდა რომელიმე მათგანს დარიცხვოდა, მაგრამ ამ პირობების არსებობის გამო არ დაერიცხა, შეიძლება ჩართულ იქნას ამ საწარმოს მოგებაში და შესაბამისად დაიბეგროს გადასახადით.

2. იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფო ამ სახელმწიფოს საწარმოს მოგებაში რთავს, და შესაბამისად გადასახადით ბეგრავს, იმ მოგებას, რომელთან მიმართებაში მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს საწარმო დაექვემდებარა დაბეგვრას ამ მეორე სახელმწიფოში, და ასეთი სახით ჩართული

მოგება წარმოადგენს მოგებას, რომელიც შეიძლება დარიცხვოდა პირველად ხსენებული სახელმწიფოს საწარმოს, თუ ამ საწარმოს შორის იქნებოდა იგივე ურთიერთობა, როგორც დამოუკიდებელ საწარმოებს შორის, მაშინ ეს მეორე სახელმწიფო მოახდენს მის მიერ ამ მოგებაზე დარიცხული გადასახადის შესაბამის კორექტირებას. ასეთი კორექტირების განსაზღვრის დროს სათანადო წესით უნდა იქნას გათვალისწინებული ამ შეთანხმების სხვა დებულებებიც, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში ხელშემკვრელ სახელმწიფოთა კომპეტენტური ორგანოები ერთმანეთთან გამართავენ კონსულტაციებს.

მუხლი 10 დივიდენდები

1. ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი კომპანიის მიერ მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტისათვის გადახდილი დივიდენდები შეიძლება დაიბეგროს ამ მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში.

2. ამასთან, ამგვარი დივიდენდები, შესაძლოა, აგრეთვე დაიბეგროს იმ ხელშემკვრელ სახელმწიფოში, რომლის რეზიდენტსაც წარმოადგენს დივიდენდების გადამხდელი კომპანია, მრავრამ, ასეთ შემთხვევაში, გადასახადი უნდა აღემატებოდეს:

a). დივიდენდების საერთო თანხის 0 პროცენტს, თუ ბენეფიციარული მფლობელია კომპანია, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს დივიდენდების გადამხდელი კომპანიის კაპიტალის სულ მცირე 50 პროცენტს და დივიდენდების გადამხდელი კომპანიის კაპიტალში ინვესტირებული აქვს 2 მილიონ ევროზე მეტი ან მისი ექვივალენტი საქართველოს ვალუტაში;

b). დივიდენდების საერთო თანხის 5 პროცენტს, თუ ბენეფიციარული მფლობელია კომპანია, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს დივიდენდების გადამხდელი კომპანიის კაპიტალის სულ მცირე 10 პროცენტს და დივიდენდების გადამხდელი კომპანიის კაპიტალში ინვესტირებული აქვს 100 000 ევროზე მეტი ან მისი ექვივალენტი საქართველოს ვალუტაში;

c). დივიდენდების აერთო თანხის 10 პროცენტს ყველა სხვა შემთხვევაში.

ეს პუნქტი არ შეეხება კომპანიის იმ მოგებების დაბეგვრას საიდანაც გადაიხდება დივიდენდები.

3. ამ მუხლში გამოყენებისას, ტერმინი „დივიდენდი“ ნიშნავს შემოსავალს აქციებიდან, „კუისანსის“ აქციებიდან ან „კუისანსის“ უფლებებიდან, სამთო საქმიანობასთან დაკავშირებული აქციებიდან, სადამფუძნებლო აქციებიდან ან სხვა უფლებებიდან, თუ ისინი არ წარმოადგენენ სავალე მოთხოვნებს, მოგებაში მონაწილეობიდან, ისევე როგორც შემოსავალს სხვა კორპორაციული უფლებებიდან, რომლებიც ექვემდებარება ისეთივე საგადასახადო რეგულირებას, როგორსაც აქციებიდან მიღებული შემოსავალი, იმ ხელშემკვრელი სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად, რომლის რეზიდენტსაც წარმოადგენს მოგების გამანაწილებელი კომპანია.

4. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების დებულებები არ გამოიყენება, თუ

დივიდენდების ბენეფიციალური მფლობელია ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი, რომელიც აწარმოებს საქმიანობას მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში, რომლის რეზიდენტსაც წარმოადგენს დივიდენდების გადამხდელი კომპანია იქ არსებული მუდმივი დაწესებულების მეშვეობით და ქონება, რომლის საფუძველზეც ხდება დივიდენდების გადახდა უშუალოდ უკავშირდება ასეთ მუდმივ დაწესებულებას. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება მე-7 მუხლის დებულებები.

5. როდესაც ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი კომპანია მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში იღებს შემოსავალს ან მოგებას, ამ მეორე სახელმწიფოს არ შეუძლია კომპანიას გადასახადი დააკისროს გადახდილ დივიდენდებზე, იმ შემთხვევის გარდა, როცა ასეთი დივიდენდების გადახდა ხდება ამ მეორე სახელმწიფოს რეზიდენტისათვის, ან როცა ქონება, რომლის საფუძველზე ხდება დივიდენდების გადახდა, უშუალოდ უკავშირდება ამ მეორე სახელმწიფოში არსებულ მუდმივ დაწესებულებას. გადასახადით არ იბეგრება კომპანიის გაუნაწილებელი მოგება, თუ გადახდილი დივიდენდები ან გაუნაწილებელი მოგება მთლიანად ან ნაწილობრივ შედგება ამ მეორე სახელმწიფოში წარმოშობილი მოგებიდან ან შემოსავლიდან.

მუხლი 11 პროცენტი

1. ერთ ხელშემკვრელ სახელმწიფოში წარმოქმნილი და მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტისათვის გადახდილი პროცენტი იბეგრება მხოლოდ ამ მეორე სახელმწიფოში, თუ ეს რეზიდენტი წარმოადგენს პროცენტის ბენეფიციალურ მფლობელს.

2. გერმინი „პროცენტი“ მოცემულ მუხლში გამოყენებისას ნიშნავს შემოსავალს ნებისმიერი სახით სავალე მოთხოვნიდან, მისი იპოთეკური უზრუნველყოფისა და მოვალის მოგებაში მონაწილეობის უფლების არსებობის მიუხედავად. კერძოდ, შემოსავალს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებიდან და ობლიგაციებიდან ან სავალე ვალდებულებებიდან მათზე დარიცხული პრემიებისა და მოგების ჩათვლით. ამ მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, ჯარიმები დაგვიანებულ გადახდაზე არ განიხილება როგორც პროცენტი.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის დებულებები არ გამოიყენება, თუ პროცენტის ბენეფიციალური მფლობელია ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში, სადაც წარმოიშობა პროცენტი იქ არსებული მუდმივი დაწესებულების მეშვეობით და სავალე მოთხოვნა, რომლის საფუძველზე ხდება პროცენტის გადახდა, უშუალოდ უკავშირდება ასეთ მუდმივ დაწესებულებას. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება ამ შეთანხმების მე-7 მუხლის დებულებები.

4. პროცენტი ხელშემკვრელ სახელმწიფოში წარმოქმნილად ჩაითვლება, როცა გადასახადის გადამხდელს წარმოადგენს ამ სახელმწიფოს რეზიდენტი. ამასთან, თუ პროცენტის გადამხდელ პირს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ის ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი, ხელშემკვრელ სახელმწიფოში გააჩნია მუდმივი

დაწესებულება, რომელთან დაკავშირებით წარმოშობილდა ვალდებულებებზე ხდება პროცენტის გადახდა და ასეთი პროცენტი წარმოიშვა ამ მუდმივი დაწესებულების მეშვეობით, მაშინ ასეთი პროცენტი ჩაითვლება წარმოქმნილად იმ სახელმწიფოში, რომელშიც მდებარეობს მუდმივი დაწესებულება.

5. თუ პროცენტის გადამხდელსა და ბენეფიციარულ მფლობელს შორის ან ორივე მათგანსა და რომელიმე მესამე პირს შორის განსაკუთრებულ ურთიერთობათა არსებობის გამო, სავალე მოთხოვნაზე გადახდილი პროცენტის თანხა, რომლის საფუძველზეც ხდება მისი გადახდა, აჭარბებს თანხას, რაც შეთანხმებული იქნებოდა გადამხდელსა და ბენეფიციარულ მფლობელს შორის ასეთი ურთიერთობების არსებობისას, მაშინ ამ მუხლის დებულებები გამოიყენება მხოლოდ უკანასკნელად ხსენებული თანხის მიმართ. ასეთ შემთხვევაში, გადასახდელი თანხის ნამეტი ნაწილი კვლავაც ექვემდებარება დაბეგვრას თითოეული ხელშემკვრელი სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ შეთანხმების სხვა დებულებების გათვალისწინებით.

მუხლი 12 როიალტი

1. ერთ ხელშემკვრელ სახელმწიფოში წარმოქმნილი და მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტის ბენეფიციარულ მფლობელობაში არსებული როიალი იბეგრება მხოლოდ ამ მეორე სახელმწიფოში.

2. ამ მუხლში გამოყენებისას, ტერმინი „როიალტი“ ნიშნავს გადახდის ნებისმიერ სახეს, რომელიც ანაზღაურების სახით მიიღებს ლიგერატურას, ხელოვნების ან მეცნიერების ნებისმიერი ნაწარმოების, მათ შორის კინემატოგრაფიული ფილმების, ნებისმიერი პატენტის, სასაქონლო ნიშნის, პროექტის ან მოდელის, გეგმის, საიდუმლო ფორმულის ან პროცესის, ასევე სამრეწველო, კომერციული ან სამეცნიერო გამოცდილების შემცველი ინფორმაციით სარგებლობისათვის ან სარგებლობის უფლების მიღებისათვის.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის დებულებები არ გამოიყენება, თუ როიალტის ბენეფიციარული მფლობელია ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში, სადაც წარმოიქმნება როიალტი იქ არსებული მუდმივი დაწესებულების მეშვეობით და უფლება ან ქონება, რის საფუძველზეც ხდება როიალტის გადახდა, უშუალოდ არის დაკავშირებული ამ მუდმივ დაწესებულებასთან. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება ამ შეთანხმების მე-7 მუხლის დებულებები.

4. თუ გადამხდელსა და ბენეფიციარულ მფლობელს შორის ან ორივე მათგანსა და რომელიმე მესამე პირს შორის განსაკუთრებული ურთიერთობების გამო, როიალტის თანხა, რომელიც დაკავშირებულია სარგებლობასთან, რომელთა საფუძველზე ხდება მისი გადახდა, აჭარბებს თანხას, რაც შეთანხმებული იქნებოდა გადამხდელსა და ბენეფიციარულ მფლობელს შორის ასეთი ურთიერთობების არსებობისას, მაშინ ამ მუხლის დებულებები გამოიყენება მხოლოდ უკანასკნელად ხსენებული თანხის მიმართ. ასეთ შემთხვევაში, გადასახდელი თანხის ნამეტი ნაწილი კვლავაც ექვემდებარება

დაბეგრას თითოეული ხელშემკვრელი სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ შეთანხმების სხვა დებულებების გათვალისწინებით.

მუხლი 13

შემოსავლები კაპიტალის მაგებიდან

1. შემოსავლები, რომლებსაც იღებს ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში მდებარე უძრავი ქონების გასხვისებიდან, როგორც ეს განსაზღვრულია ამ შეთანხმების მე-6 მუხლში, შეიძლება დაიბეგროს ამ მეორე სახელმწიფოში.

2. შემოსავლები იმ მოძრავი ქონების გასხვისებიდან, რომელიც წარმოადგენს ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს საწარმოს მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში არსებული მუდმივი დაწესებულების კომერციული ქონების ნაწილს, ამ მუდმივი დაწესებულების (ცალკე ან მთელ საწარმოსთან ერთად) გასხვისებით მიღებული შემოსავლების ჩათვლით, შეიძლება დაიბეგროს ამ მეორე სახელმწიფოში.

3. შემოსავლები, რომლებიც მიიღება საერთაშორისო გადაზიდვებში ექსპლოატირებული საზღვაო გემებისა და საჰაერო ხომალდების ან მათ ექსპლოატაციასთან დაკავშირებული მოძრავი ქონების გასხვისებიდან, იბეგრება მხოლოდ იმ ხელშემკვრელ სახელმწიფოში, სადაც მდებარეობს საწარმოს ფაქტიური მართვის ადგილი.

4. შემოსავლები ნებისმიერი ქონების გასხვისებიდან, ამ მუხლის პირველ, მე-2 და მე-3 პუნქტებში აღნიშნული ქონების გარდა, იბეგრება მხოლოდ იმ ხელშემკვრელ სახელმწიფოში, რომლის რეზიდენტსაც წარმოადგენს ქონების გამსხვისებელი პირი.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტის დებულებებმა გავლენა არ უნდა იქონიონ ხელშემკვრელი სახელმწიფოს უფლებაზე, მისი კანონმდებლობის შესაბამისად, დაბეგროს იმ პირის მიერ საწარმოს აქციების გასხვისებიდან მიღებული შემოსავალი, რომელიც არის ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი და იყო პირველად ხსენებული ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი ხუთი წლის განმავლობაში, რომელიც უშუალოდ უსწრებდა წინ ქონების გასხვისებას.

მუხლი 14

დასაქმებიდან მიღებული შემოსავალი

1. ამ შეთანხმების მე-15, მე-17, მე-18 და მე-19 მუხლების დებულებათა გათვალისწინებით, ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტის მიერ დაქირავებული შრომის შედეგად მიღებული ხელფასი, გასამრჯელო ან სხვა მსგავსი ანაზღაურება იბეგრება მხოლოდ ამ სახელმწიფოში, თუ დასაქმება არ განხორციელებულა მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში. თუ დასაქმება ხორციელდება ამგვარი სახით, მაშინ ასეთი ანაზღაურება შეიძლება დაიბეგროს ამ მეორე სახელმწიფოში.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის დებულებათა მიუხედავად, ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტის მიერ მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში

განხორციელებული დაქირავებული შრომის შედეგად მიღებული ანაზღაურება იბეგრება მხოლოდ პირველად ხსენებულ სახელმწიფოში, თუ:

a). ანაზღაურების მიმღები იმყოფება მეორე სახელმწიფოში პერიოდით ან პერიოდებით, რომელთა საერთო ხანგრძლივობა არ აღემატება 183 დღეს ნებისმიერი თორმეტთვიანი პერიოდის განმავლობაში, რომელიც იწყება ან მთავრდება მოცემულ ფისკალურ წელს, და

b). ანაზღაურება გაიცემა დამქირავებლის მიერ ან მისი სახელით, რომელიც არ წარმოადგენს მეორე სახელმწიფოს რეზიდენტს, და

c). ანაზღაურება არ არის წარმოქმნილი მუდმივ დაწესებულებაში, რომელიც დამქირავებელს გააჩნია მეორე სახელმწიფოში.

3. ამ მუხლის წინა დებულების მიუხედავად, ანაზღაურება, რომელსაც იღებს ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი საერთაშორისო გადაზიდვებში ექსპლოატირებულ საზღვაო გემებზე ან საჰაერო ხომალდებზე განხორციელებული დასაქმებისათვის, შეიძლება დაიბეგროს იმ ხელშემკვრელ სახელმწიფოში, რომელშიც მდებარეობს საწარმოს ფაქტიური მართვის ადგილი.

მუხლი 15

ღირექტორთა ჰონორარები

ღირექტორთა ჰონორარები და სხვა მსგავსი ანაზღაურება, რომლებსაც იღებს ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი, როგორც მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტის კომპანიის ღირექტორთა საბჭოს წევრი, შეიძლება დაიბეგროს ამ მეორე სახელმწიფოში.

მუხლი 16

ხელოვნების მუშაკები და სპორტსმენები

1. ამ შეთანხმების მე-7 და მე-14 მუხლების დებულებების მიუხედავად, შემოსავალი, რომელსაც იღებს ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი, როგორც ხელოვნების მუშაკი, კერძოდ, როგორც თეატრის, კინოს, რადიოს ან ტელევიზიის მსახიობი ან მუსიკოსი ან როგორც სპორტსმენი, მის მიერ მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში განხორციელებული პირადი საქმიანობიდან, შეიძლება დაიბეგროს ამ მეორე სახელმწიფოში.

2. იმ შემთხვევაში, როდესაც შემოსავალი პირადი საქმიანობიდან, რომელსაც ახორციელებს ხელოვნების მუშაკი ან სპორტსმენი, ერიცხება არა თვით ხელოვნების მუშაკს ან სპორტსმენს, არამედ სხვა პირს, მაშინ ეს შემოსავალი, ამ შეთანხმების მე-7 და მე-14 მუხლების დებულებების მიუხედავად, შეიძლება დაიბეგროს იმ ხელშემკვრელ სახელმწიფოში, რომელშიც ხორციელდება ხელოვნების მუშაკის ან სპორტსმენის საქმიანობა.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების დებულებები არ გამოიყენება ხელშემკვრელ სახელმწიფოში ხელოვნების მუშაკების ან სპორტსმენების მიერ მიღებული შემოსავლის მიმართ, თუ მათი ვიზიტი ამ სახელმწიფოში მთლიანად ან ძირითადად განხორციელდა მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში, მისი პოლიტიკური ქვედანაყოფების ან ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების სამოგადობრივი ფონდების, ან იმ ორგანიზაციების მხარდაჭერით, რომლებიც აღიარებულნი არიან, როგორც არამომგებიანი ორგანიზაციები ან თუ ამგვარი საქმიანობა ხორციელდება ხელშემკვრელ სახელმწიფოებს შორის კულტურული თანამშრომლობის სფეროში გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე, ასეთ შემთხვევაში, შემოსავალი იბეგრება მხოლოდ იმ სახელმწიფოში, რომელის რეზიდენსაც წარმოადგენს ეს პირი.

მუხლი 17 პენსიები

ამ შეთანხმების მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის დებულებათა შესაბამისად, წარსულ დაქირავებულ შრომასთან დაკავშირებით ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენსისათვის გადახდილი პენსიები და სხვა მსგავსი ანაზღაურება იბეგრება მხოლოდ ამ სახელმწიფოში.

მუხლი 18 სახელმწიფო სამსახური

1. a) ხელფასი, გასამრჯელო და სხვა მსგავსი ანაზღაურება, პენსიის გარდა, რომელსაც ხელშემკვრელი სახელმწიფო, მისი პოლიტიკური ქვედანაყოფი, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანო ან სახელმწიფო დაწესებულებათა უფიზიკურ პირს ამ სახელმწიფოში, მისი პოლიტიკური ქვედანაყოფის, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს ან დაწესებულების მიმართ გაწეული სამსახურისათვის, იბეგრება მხოლოდ ამ სახელმწიფოში;

b) ამასთან, ამგვარი ხელფასი, გასამრჯელო და სხვა მსგავსი ანაზღაურება იბეგრება მხოლოდ მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში, თუ სამსახური გაწეულ იქნა ამ სახელმწიფოში და ფიზიკური პირი, რომელიც წარმოადგენს ამ სახელმწიფოს რეზიდენტს;

- (i) არის ამ სახელმწიფოს მოქალაქე; ან
- (ii) არ გვხვდა ამ სახელმწიფოს რეზიდენტი მხოლოდ სამსახურის გაწევის მიზნით.

2. (a) ნებისმიერი პენსია, რომლის გადახდა ხდება ფიზიკური პირისათვის ხელშემკვრელი სახელმწიფოს, მისი პოლიტიკური ქვედანაყოფის, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს ან დაწესებულების მიერ ან მათ მიერ შექმნილი ფონდებიდან, ამ სახელმწიფოში, მისი პოლიტიკური ქვედანაყოფის, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს ან დაწესებულებისათვის გაწეული სამსახურისათვის, იბეგრება მხოლოდ ამ სახელმწიფოში;

(b) ამასთან, ასეთი პენსია იბეგრება მხოლოდ მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში,

თუ ფიზიკური პირი წარმოადგენს ამ სახელმწიფოს რეზიდენტსა და მოქალაქეს.

3. ამ შეთანხმების მე-14, მე-15, მე-16 და მე-17 მუხლების დებულებები გამოიყენება ხელფასის, გასამრჯელოს, სხვა მსგავსი ანაზღაურებისა და პენსიების მიმართ, ხელშემკვრელი სახელმწიფოს, მისი პოლიტიკური ქვედანაყოფის, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს ან დაწესებულების მიერ გაწეული კომერციული საქმიანობის ფარგლებში განხორციელებულ მომსახურებასთან დაკავშირებით.

მუხლი 19

სტუდენტები

1. ანაზღაურება, მიღებული სტუდენტის ან სტაჟიორის მიერ, რომელიც არის ან ხელშემკვრელ სახელმწიფოში უშუალოდ ჩასვლამდე იყო მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი და რომელიც პირველად ხსენებულ სახელმწიფოში იმყოფება მხოლოდ განათლების მიღების ან კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, თუ იგი განკუთვნილია მისი ცხოვრების, განათლების მიღების ან კვალიფიკაციის ასამაღლებლად, არ იბეგრება ამ სახელმწიფოში, თუ დაფინანსების წყარო მდებარეობს ამ სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ.

2. სტუდენტის ან სტაჟიორის, რომელიც არის ან ხელშემკვრელ სახელმწიფოში უშუალოდ ჩასვლამდე იყო მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი, დასაქმებიდან მიღებული ანაზღაურება, რომელსაც იგი იღებს პირველად ხსენებულ სახელმწიფოში პერიოდში ან პერიოდებში, რომელთა საერთო ხანგრძლივობა მოცემული საფინანსო წლის განმავლობაში არ აღემატება 183 დღეს, არ იბეგრება პირველად ხსენებულ სახელმწიფოში, თუ ამგვარი დასაქმება პირდაპირ უკავშირდება მის სწავლას ან პრაქტიკის გავლას ამ მეორე სახელმწიფოში.

მუხლი 20

პროფესორ-მასწავლებლები და მეცნიერ-მუშაკები

1. პროფესორი, მასწავლებელი ან მეცნიერ-მუშაკი, რომელიც იმყოფება ხელშემკვრელ სახელმწიფოში ორ წლამდე პერიოდის განმავლობაში, ამ სახელმწიფოს უნივერსიტეტში, კოლეჯში, სკოლაში ან სხვა სასწავლო ან კვლევით დაწესებულებაში პედაგოგიური ან სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მიზნით და რომელიც უშუალოდ ამ ვიზიტამდე იყო მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი, პედაგოგიური ან კვლევითი სამუშაოდან მიღებულ ნებისმიერ ანაზღაურებაზე იბეგრება ამ მეორე სახელმწიფოში. ამასთან, ამ მუხლის დებულებები ვრცელდება მხოლოდ ორი წლის პერიოდის მანძილზე, მას შემდეგ რაც ფიზიკური პირი პირველად ეწვევა ხელშემკვრელ სახელმწიფოს აღნიშნული მიზნით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის დებულებები გამოიყენება კვლევითი სამუშაოებიდან მიღებულ შემოსავალზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი სამუშაოები ტარდება სამოვადობრივი ინტერესებიდან გამომდინარე და არა უპირატესად პირის ან პირების პირადი სარგებლობის მიზნით.

მუხლი 21

სხვა შემოსავლები

1. ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენცის შემოსავლის სახეები, რომლებიც არ არის განხილული ამ შეთანხმების წინა მუხლებში, მათი წარმოშობის ადგილის მიუხედავად, იბეგრება მხოლოდ ამ სახელმწიფოში.

2. ამ მუხის პირველი პუნქტის დებულებები არ გამოიყენება შემოსავლების მიმართ, რომლებიც განსხვავდება ამ შეთანხმების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული უძრავი ქონებიდან მიღებული შემოსავლისაგან, თუ ასეთი შემოსავლის მიმღები წარმოადგენს ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტს და თავის საქმიანობას ახორციელებს მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში იქ განთავსებული მუდმივი დაწესებულების მეშვეობით და უფლება ან ქონება, რომლებთან დაკავშირებით ხდება შემოსავლის გადახდა, უშუალოდ არ უკავშირდება ასეთ მუდმივ დაწესებულებას. ასეთ შემთხვევაში, გამოიყენება ამ შეთანხმების მე-7 მუხლის დებულებები.

მუხლი 22

კაპიტალი

1. კაპიტალი, წარმოდგენილი ამ შეთანხმების მე-6 მუხლით განსაზღვრული უძრავი ქონებით, რომელსაც ფლობს ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი და რომელიც მდებარეობს მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში, შეიძლება დაიბეგროს ამ მეორე სახელმწიფოში.

2. კაპიტალი, წარმოდგენილი მოძრავი ქონებით, რომელიც ქმნის ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს საწარმოს მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში არსებული მუდმივი დაწესებულების კომერციული ქონების ნაწილს, შეიძლება დაიბეგროს ამ მეორე სახელმწიფოში.

3. კაპიტალი, რომელიც წარმოდგენილია საერთაშორისო გადაზიდვებში ექსპლოატირებული საზღვაო გემებითა და საჰაერო ხომალდებით ან მათ ექსპლოატაციასთან დაკავშირებული მოძრავი ქონებით, იბეგრება მხოლოდ იმ ხელშემკვრელ სახელმწიფოში, სადაც მდებარეობს საწარმოს ფაქტიური მართვის ადგილი.

4. ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტის კაპიტალის ყველა სხვა ელემენტი იბეგრება მხოლოდ ამ სახელმწიფოში.

მუხლი 23

ორმაგი დაბეგვრის გამორიცხვა

ორმაგი დაბეგვრა გამორიცხულ იქნება შემდეგნაირად:

1. ავსტრიაში:

a) როდესაც ავსტრიის რეზიდენტი იღებს შემოსავალს ან ფლობს კაპიტალს, რომელიც ამ

შეთანხმების დებულებების შესაბამისად, შეიძლება დაიბეგროს საქართველოში, მაშინ ავსტრიას ამ პუნქტის b) და c) ქვეპუნქტების დებულებების თანახმად, შეუძლია ამგვარი შემოსავალი ან კაპიტალი გაათავისუფლოს გადასახადისაგან;

b) როდესაც ავსტრიის რეზიდენტი იღებს შემოსავლების ისეთ სახეებს, რომლებიც მე-10 მუხლის დებულებების შესაბამისად, შეიძლება დაიბეგროს საქართველოში, ავსტრიას შეუძლია დაუშვას ამ რეზიდენტის შემოსავალზე გადასახადიდან გამოქვითვა, რომლის მოცულობა საქართველოში გადახდილი გადასახადის გოლი იქნება. ასეთი გამოქვითვა, ამასთან, არ უნდა აღემატებოდეს გადასახადის იმ ნაწილს, რომელიც გამოქვითვამდე იყო დაანგარიშებული და მიეწერება საქართველოში მიღებულ შემოსავლის სახეებს;

c) როდესაც ამ შეთანხმების ნებისმიერი დებულების შესაბამისად, ავსტრიის რეზიდენტის მიერ მიღებული შემოსავალი ან მის მფლობელობაში არსებული კაპიტალი გაათავისუფლებულია დაბეგვრისაგან ავსტრიაში, მიუხედავად ამისა, ავსტრიას შეუძლია ამ რეზიდენტის დარჩენილ შემოსავალზე ან კაპიტალზე გადასახადის ოდენობით გაანგარიშების დროს გაითვალისწინოს ამ რეზიდენტის გადასახადისაგან გაათავისუფლებული შემოსავალი ან კაპიტალი.

2. საქართველოში:

თუ საქართველოს რეზიდენტი იღებს შემოსავალს ან ფლობს კაპიტალს, რომელიც ამ შეთანხმების დებულებების შესაბამისად შეიძლება დაიბეგროს ავსტრიაში, მაშინ საქართველო დაუშვებს ამ რეზიდენტის შემოსავალზე ან კაპიტალზე გადასახადიდან გამოქვითვას, რომლის მოცულობა ავსტრიაში გადახდილის გოლი იქნება. ასეთი გამოქვითვა, ამასთან, არ უნდა აღემატებოდეს შემოსავალზე ან კაპიტალზე გადასახადის იმ ნაწილს, რომელიც გამოქვითვამდე იყო დაანგარიშებული და მიეწერება შემოსავალს ან კაპიტალს, რომელიც შესაძლოა დაიბეგროს ავსტრიაში.

მუხლი 24

დისკრიმინაციის თავიდან აცილება

1. ხელშემკვრელი სახელმწიფოს ნაციონალური პირები არ დაექვემდებარებიან მეორე სახელმწიფოში განსხვავებულ ან უფრო მძიმე პირობებით დაბეგვრას ან ნებისმიერ მასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, რომლებსაც ექვემდებარებიან ან შეიძლება დაექვემდებარონ ამ მეორე სახელმწიფოს ნაციონალური პირები იმავე გარემოებებში, კერძოდ, რეზიდენციის თვალსაზრისით. ეს დებულება, ამ შეთანხმების პირველი მუხლის დებულებების მიუხედავად, გამოიყენება აგრეთვე იმ პირების მიმართ, რომლებიც არ არიან ერთი ან ორივე ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტები.

2. მოქალაქეობის არმქონე პირები, რომლებიც წარმოადგენენ ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტებს, არც ერთ ხელშემკვრელ სახელმწიფოში არ უნდა დაექვემდებარონ განსხვავებულ ან უფრო მძიმე პირობებით დაბეგვრას ან ნებისმიერ მასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, რომლებსაც ექვემდებარებიან ან შეიძლება დაექვემდებარონ ამ სახელმწიფოთა ნაციონალური პირები იმავე გარემოებებში,

კერძოდ, რეზიდენციის თვალსაზრისით.

3. ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს საწარმოს მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში კუთვნილი მუდმივი დაწესებულების დაბეგვრა არ უნდა განხორციელდეს ნაკლებად ხელსაყრელ პირობებში, ვიდრე იმ საწარმოთა დაბეგვრა, რომლებიც ანალოგიურ საქმიანობას ახორციელებენ ამ მეორე სახელმწიფოში. ეს დებულება არ უნდა იქნეს გაგებული ისე, თითქოს ის ხელშემკვრელ სახელმწიფოს ავალდებულებდეს მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტების რომელიმე გადასახადისგან გათავისუფლებას, მათთვის რაიმე საგადასახადო შეღავათის მინიჭებას ან გადასახადის შემცირებას მათი სამოქალაქო სტატუსის ან ოჯახური მდგომარეობის საფუძველზე, რომლებსაც ის ანიჭებს საკუთარ რეზიდენტებს.

4.

იმ შემთხვევების გარდა, როდესაც გამოიყენება ამ შეთანხმების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის, მე-11 მუხლის მე-5 პუნქტის ან მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის დებულებები, ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტისათვის გადახდილი პროცენტი, როიალტი ან სხვა გადასახდელები, ამ საწარმოს დასაბეგრი მოგების განსაზღვრის მიზნით ექვემდებარება იგივე პირობით გამოქვითვას, როგორც ეს მოხდებოდა პირველად ხსენებული სახელმწიფოს რეზიდენტთან მიმართებაში. ანალოგიურად, ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს საწარმოს ნებისმიერი დავალიანება მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტის მიმართ, ამ საწარმოს დასაბეგრი კაპიტალის განსაზღვრის მიზნით, ექვემდებარება იგივე პირობებით გამოქვითვას, როგორც ეს მოხდებოდა პირველად ხსენებული სახელმწიფოს რეზიდენტის შემთხვევაში.

5. ხელშემკვრელი სახელმწიფოს საწარმოები, რომელთა კაპიტალი მთლიანად ან ნიწილობრივ ეკუთვნის, ან პირდაპირ ან არაპირდაპირ კონტროლდება მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს ერთი ან რამდენიმე რეზიდენტის მიერ, პირველად ხსენებულ სახელმწიფოში არ უნდა დაექვემდებარონ განსხვავებულ ან უფრო მძიმე პირობებით დაბეგვრას ან მასთან დაკავშირებულ ნებისმიერ მოთხოვნებს, რომლებსაც ექვემდებარებიან ან შეიძლება დაექვემდებარონ პირველად ხსენებული სახელმწიფოს სხვა მსგავსი საწარმოები.

6. ამ მუხლის დებულებები გამოიყენება იმ გადასახადების მიმართ, რომლებიც წარმოადგენენ ამ შეთანხმების საგანს.

მუხლი 25

ერთიერთ შეთანხმების პროცედურა

1. თუ პირი თვლის, რომ ერთი ან ორივე ხელშემკვრელი სახელმწიფოს მოქმედება იწვევს ან გამოიწვევს მის დაბეგვრას ამ შეთანხმების დებულებების საწინააღმდეგოდ, მას შეუძლია, მისი უფლებების დაცვის ამ სახელმწიფოთა შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობებით გათვალისწინებული ზომებისაგან დამოუკიდებლად, თავისი საქმე განსახილველად წარადგინოს იმ ხელშემკვრელი სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოში, რომლის რეზიდენტსაც იგი წარმოადგენს: ან, თუ მისი შემთხვევა

ექვემდებარება ამ შეთანხმების 24-ე მუხლის პირველი პუნქტის მოქმედებას, იმ სახელმწიფოში, რომლის ნაციონალურ პირსაც წარმოადგენს. განცხადება წარდგენილი უნდა იქნას ამ შეთანხმების დებულებათა შეუსაბამოდ დაბეგვრის გამომწვევი მოქმედების შესახებ პირველი შეტყობინებიდან სამი წლის განმავლობაში.

2.თუ კომპეტენტური ორგანო განცხადებას დასაბუთებულად ჩათვლის და არ შეუძლია საკითხის დამაკმაყოფილებლად გადაწყვეტა დამოუკიდებლად, უნდა შეეცადოს მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოსთან შეთანხმებით გადაწყვიტოს საკითხი ამ შეთანხმების დებულებებთან შეუსაბამოდ დაბეგვრის თავიდან აცილების მიზნით. ნებისმიერი მიღწეული შეთანხმება ექვემდებარება აღსრულებას ხელშემკვრელ სახელმწიფოთა შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობებით გათვალისწინებული დროითი შეზღუდვების მიუხედავად.

3.ხელშემკვრელ სახელმწიფოთა კომპეტენტური ორგანოები ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შეეცდებიან გადაჭრან ნებისმიერი სირთულე ან გაუგებრობა, რომლებიც წარმოიშობა ამ შეთანხმების განმარტების ან გამოყენების დროს. ორმაგ დაბეგვრის თავიდან აცილების მიზნით, მათ შეუძლიათ, აგრეთვე, ერთმანეთთან კონსულტაციები აწარმოონ ამ შეთანხმებით გათვალისწინებულ შემთხვევაშიც.

4.ხელშემკვრელ სახელმწიფოთა კომპეტენტურ ორგანოებს, წინა პუნქტის ვაგებაში შეთანხმების მიღწევის მიზნით, შეუძლიათ ერთმანეთთან პირდაპირ კონტაქტი იქონიონ, მათ შორის, მათი ან მათი წარმომადგენლის მონაწილეობით შემდგარი ერთობლივი კომისიის საშუალებით.

მუხლი 26

ინფორმაციის გაცვლა

1.ხელშემკვრელი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოები ცვლიან იმ ინფორმაციას, რომელიც გათვალისწინებულია ამ შეთანხმების დებულებებით ან ხელშემკვრელი სახელმწიფოების შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით იმ გადასახადებთან მიმართებაში, რომლებსაც მოიცავს ეს შეთანხმება და რომლებით დაბეგვრა არ ეწინააღმდეგება ამ შეთანხმებას. ინფორმაციის გაცვლა არ არის შეზღუდული ამ შეთანხმების პირველი მუხლით. ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია ითვლება კონფიდენციალურად, ისევე, როგორც ამ სახელმწიფოს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის ფარგლებში მიღებული ინფორმაცია და მათი გაცნობა შეუძლიათ მხოლოდ იმ პირებს ან უფლებამოსილ ორგანოებს (სასამართლოებისა და ადმინისტრაციული ორგანოების ჩათვლით) , რომელთა კომპეტენციას წარმოადგენს იმ გადასახადების დაკისრება ან აკრეფა, იძულებითი წესით ამოღება ან სასამართლო დევნა ან იმ გადასახადებთან დაკავშირებული საჩივრების განხილვა, რომლებსაც ეხება პირველი წინადადება. ეს პირები ან ორგანოები ამ ინფორმაციას გამოიყენებენ მხოლოდ დასახელებული მიზნებისათვის. მათ შეუძლიათ ამ ინფორმაციის გამოყენება სასამართლოს ღია სხდომაზე ან სამართლებრივი გადაწყვეტილებების მიღების დროს. თვით ასეთ შემთხვევებშიც კი, პიროვნებასთან დაკავშირებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა შესაძლოა დაირღვეს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს

აუცილებელია სხვა პირის კანონიერი ინტერესების ან საზოგადოებრივი ინტერესების დასაცავად.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის დებულებები არც ერთ შემთხვევაში არ უნდა იქნეს გაგებული ისე, თითქოს ხელშემკვრელ სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება:

- a) გააგაროს ადმინისტრაციული ღონისძიებები, რომლებიც ეწინააღმდეგება ერთი ან მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს კანონმდებლობას ან ადმინისტრაციულ პრაქტიკას;
- b) მიაწოდოს ინფორმაცია, რომლის მოპოვება არ არის ნებადართული ერთი ან მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს კანონმდებლობით ან ჩვეულებრივი ადმინისტრაციული პრაქტიკით;
- c) გასცეს ინფორმაცია, რომელმაც შესაძლოა გაამჟღავნოს ნებისმიერი სავაჭრო, სამეწარმეო, სამრეწველო, კომერციული ან პროფესიული საიდუმლოება ან სავაჭრო პროცესი ან ისეთი ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებაც ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ ინტერესებს ან საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებულ პრინციპებს, კერძოდ, მონაცემთა დაცვის სფეროში.

მუხლი 27

დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების თანამშრომლები

ეს შეთანხმება გავლენას ვერ მოახდენს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების თანამშრომელთა საგადასახადო პრივილეგიებზე, რომლებიც დადგენილია საერთაშორისო სამართლის საყოველთაო ნორმების ან სპეციალური შეთანხმებების დებულებების საფუძველზე.

მუხლი 28

ძალაში შესვლა

1. ხელშემკვრელი სახელმწიფოები დიპლომატიური არსების საშუალებით ერთმანეთს აცნობებენ ამ შეთანხმების ძალაში შესასვლელად საჭირო მათი კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების დასრულების შესახებ.

2. ეს შეთანხმება ძალაში შედის ხელშემკვრელ სახელმწიფოთა მიერ შეთანხმების ძალაში შესვლისათვის საჭირო შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების დასრულების შესახებ უკანასკნელი წერილობითი შეტყობინების მიღების დღიდან მესამე თვის პირველ დღეს. ამ შეთანხმების დებულებები გადასახადების მიმართ გამოიყენება ნებისმიერ საგადასახადო წელს, რომელიც დაიწყება შეთანხმების ძალაში შესვლის წლის მომდევნო კალენდარული წლის პირველი იანვრიდან ან მის შემდეგ.

მუხლი 29

მოქმედების შეწყვეტა

ეს შეთანხმება ძალაშია ვიდრე ერთ-ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფო არ შეწყვეტს

მის მოქმედებას. თითოეულ ხელშემკვრელ სახელმწიფოს შეუძლია შეწყვიტოს შეთანხმება მისი ძალაში შესვლის დღიდან 5 წლის გასვლის შემდეგ, კალენდარული წლის დასრულებამდე სულ მცირე ექვსი თვით ადრე მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოსათვის შეთანხმების შეწყვეტის თაობაზე დიპლომატიური არსებით წერილობითი შეტყობინების საშუალებით. ასეთ შემთხვევაში, შეთანხმება შეწყვეტის მოქმედებას გადასახადების მიმართ ნებისმიერ საგადასახადო წელს, რომელიც დაიწყება შეთანხმების შეწყვეტის თაობაზე შეტყობინების მიცემის წლის მომდევნო კალენდარული წლის პირველი იანვრიდან ან მის შემდეგ.

რის დასტურადაც ამ შეთანხმებას ხელი მოაწერეს ორივე ხელშემკვრელი სახელმწიფოს სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილმა პირებმა.

შედგენილია 2005 წლის 11 აპრილს ქ. ვენაში, ორ პირად, თითოეული ქართულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე. ყველა ტექსტი თანაბრად აუთენტიკურია. ქართულ და გერმანულ ტექსტებს შორის განსხვავების შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ტექსტს ინგლისურ ენაზე.

საქართველოს სახელით

ავსტრიის რესპუბლიკის სახელით

ოქმი

შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმების ხელმოწერის დროს, რომელიც დაიღო საქართველოსა და ავსტრიის რესპუბლიკას შორის, ხელმომწერნი შეთანხმდნენ, რომ შემდეგი დებულებები წარმოადგენენ შეთანხმების განუყოფელ ნაწილს:

1. მე-2 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებაში:

გერმინი „პოლიტიკური ქვედანაყოფები“ საქართველოს შემთხვევაში ნიშნავს ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ქვედანაყოფებს.

2. მე-3 მუხლის პირველი პუნქტის k) ქვეპუნქტთან მიმართებაში: გერმინს „ბიზნესი“ საქართველოს შემთხვევაში აქვს იგივე მნიშვნელობა, რაც ეკონომიკურ საქმიანობას.

3. მე-3 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებაში:

გერმინი „კაპიტალი“ ნიშნავს უძრავ და მოძრავ ქონებას. იგი კერძოდ მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, ნაღდ ფულს, აქციებს ან ქონებრივი უფლებების დამადასტურებელ სხვა დოკუმენტებს, ობლიგაციებს ან სხვა სავალე ვალდებულებებს. ის აგრეთვე მოიცავს პაგენტებს, სასაქონლო ნიშნებს, საავტორო უფლებებს ან სხვა მსგავს უფლებებსა და ქონებას.

4. მე-7 მუხლთან მიმართებაში:

გერმინი „მოგება“ მოიცავს ამხანაგობაში მონაწილე ნებისმიერი პარტნიორის მიერ მოღებულ მოგებას.

5.მე-13 მუხლის მე-5 პუნქტთან მიმართებაში:

ხელშემკვრელი სახელმწიფოს უფლება დაბეგრის გადასახადის გადამხდელის ქონება, რომელიც იყო მისი რეზიდენტი, იბღუდება აქციების ღირებულების ნამატით მხოლოდ იმ პერიოდში, რომელშიც გადასახადის გადამხდელი ამ სახელმწიფოს რეზიდენტს წარმოადგენდა.

6.მე-16 მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებაში:

მე-3 პუნქტი ასევე გამოიყენება იმ იურიდიული პირების მიმართ, რომლებიც წარმოადგენენ ორკესტრებს, თეატრებს და საბალეტო დასებს, ასევე კულტურის ამგვარი დაწესებულებების თანამშრომლების მიმართ, თუ ასეთი იურიდიული პირები წარმოადგენენ არამომგებიან ორგანიზაციებს და თუ ეს დადასტურებულია რეზიდენტის ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ.

7.21-ე მუხლთან მიმართებაში:

a) ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტის მიერ მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში მიღებული შემოსავალი, რომელიც მას მიეკუთვნება სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველზე, არ დაიბეგრება პირველად ხსენებულ სახელმწიფოში, თუ ასეთი შემოსავალი გადასახადისაგან გათავისუფლებულია მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად. ამ ქვეპუნქტის მიზნებისათვის, ასეთი შემოსავლები აგრეთვე მოიცავს ანაზღაურებებს კრიმინალური ქმედებების, ვაჭვინაციის ან სხვა მსგავსი მიზეზების შედეგად მიყენებული ზარალისათვის;

b) a) ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემოსავალი მხედველობაში არ იქნება მოღებული გამოქვითვის პროგრესული მეთოდის გამოყენების დროს.

8. შეთანხმების ინტერპრეტაცია:

შეთანხმების დებულებებს, რომლებიც შედგენილია შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგრის თავიდან აცილების შესახებ OECD-ის კონვენციის მოდელის დებულებათა შესაბამისად, ექნებათ იგივე მნიშვნელობა, რაც მათ აქვთ OECD-ის მოდელის კომენტარებში. წინა წინადადების შინაარსი არ გავრცელდება შემდეგზე:

a) რომელიმე ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ OECD-ის მოდელის ან მისი კომენტარების ფარგლებში გაკეთებული ნებისმიერი დათქმის ან შენიშვნის მიმართ;

b) ამ ოქმით დაფიქსირებული ნებისმიერი საწინააღმდეგო ინტერპრეტაციის მიმართ;

c) შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ უფლებამოსილ ორგანოებს შორის შეთანხმებული ნებისმიერი საწინააღმდეგო ინტერპრეტაციის მიმართ.

OECD-ის კომენტარები, რომელიც შესაძლოა დროდადრო გადაისინჯოს, 1969 წლის 23 მაისის საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ ვენის კონვენციის გაგებით წარმოადგენს ინტერპრეტაციის საშუალებას.

რის დასტურადაც, ამ ოქმს ხელი მოაწერეს ორივე ხელშემკვერელი სახელმწიფოს სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილმა პირებმა.

შედგენილია 2005 წლის 11 აპრილს ქ. ვენაში, ორ პირად თითოეული ქართულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე. ყველა ტექსტი თანაბრად აუთენტიურია. ქართულ და გერმანულ ტექსტებს შორის განსხვავების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ინგლისურ ენაზე.

საქართველოს სახელით

ავსტრიის რესპუბლიკის სახელით

საქართველოსა
და
ავსტრიის რესპუბლიკას
შორის

2005 წლის 11 აპრილს ქვენაში ხელმოწერილ შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის
ოქმი და დამატებითი ოქმი

საქართველოს და ავსტრიის რესპუბლიკას, სურთ რა გააფორმონ ოქმი და 2005 წლის 11 აპრილს ქვენაში ხელმოწერილ შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის დამატებითი ოქმი (შემდეგში “შეთანხმებად“ წოდებული),

შეთანხმდნენ შემდეგ ზე:

მუხლი 1

შეთანხმების მე-10 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 10

დივიდენდები

1. ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი კომპანიის მიერ მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტისათვის გადახდილი დივიდენდები შეიძლება დაიბეგროს ამ მეორე სახელმწიფოში.
2. a) ამასთან, ასეთი დივიდენდები აგრეთვე შეიძლება დაიბეგროს იმ ხელშემკვრელ სახელმწიფოში, რომლის რეზიდენტსაც წარმოადგენს დივიდენდების გადამხდელი კომპანია, ამ სახელმწიფოს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად, მაგრამ თუ დივიდენდების ბენეფიციური მფლობელი წარმოადგენს მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტს, მაშინ ასეთი სახით დაკისრებული გადასახადი არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების მთლიანი რაოდენობის 10 პროცენტს.

b) თუ ბენეფიციურ მფლობელს წარმოადგენს კომპანია (ამხანაგობის გარდა), რომელიც პირდაპირ ფლობს დივიდენდების გადამხდელი კომპანიის კაპიტალის არანაკლებ 10%, ამ შემთხვევაში დივიდენდები დაიბეგრება მხოლოდ იმ ხელშემკვრელ სახელმწიფოში, რომლის რეზიდენტსაც წარმოადგენს დივიდენდების ბენეფიციური მფლობელი.

ეს პუნქტი არ გავრცელდება კომპანიის იმ მოგების დაბეგვრაზე, საიდანაც გადაიხდება დივიდენდები.
3. ამ მუხლში გამოყენებისას, ტერმინი “დივიდენდები” ნიშნავს შემოსავალს აქციებიდან, “jouissance”-ის აქციებიდან ან “jouissance”-ის უფლებებიდან, სამთო საქმიანობასთან დაკავშირებული აქციებიდან, დამფუძნებელთა აქციებიდან ან სხვა უფლებებიდან, თუ ისინი არ წარმოადგენენ მოგებაში მონაწილე საგაღლე მოთხოვნებს, ასევე შემოსავალს სხვა კორპორაციული უფლებებიდან, რომელიც ექვემდებარება ისეთივე საგადასახადო რეგულირებას, როგორსაც აქციებიდან მიღებული შემოსავალი, იმ ხელშემკვრელ სახელმწიფოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რომლის რეზიდენტსაც წარმოადგენს მოგების გამანაწილებელი კომპანია.
4. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის დებულებები არ გამოიყენება, თუ დივიდენდების ბენეფიციურ მფლობელს წარმოადგენს მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი და ახორციელებს საქმიანობას მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში, რომლის რეზიდენტია დივიდენდების გადამხდელი კომპანია, იქ

არსებული მუდმივი დაწესებულების მეშვეობით და ფლობა, რომლის საფუძველზეც დივიდენდების გადახდა უშუალოდ უკავშირდება ასეთ მუდმივ დაწესებულებას. ამ შემთხვევაში გამოიყენება მე-7 მუხლის დებულებები.

5. როდესაც ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი კომპანია მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში იღებს შემოსავალს ან მოგებას, ამ მეორე სახელმწიფოს არ შეუძლია კომპანიას დააკისროს გადასახადი გადახდილ დივიდენდებზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი დივიდენდების გადახდა ხდება ამ მეორე სახელმწიფოს რეზიდენტისთვის ან როდესაც ფლობის საფუძველზე გადახდილი დივიდენდები უშუალოდ უკავშირდება ამ მეორე სახელმწიფოში არსებულ მუდმივ დაწესებულებას. მეორე სახელმწიფოს ასევე არ შეუძლია დაბეგროს კომპანიის გაუნაწილებელი მოგება იმ შემთხვევაშიც კი, თუ გადახდილი დივიდენდები ან გაუნაწილებელი მოგება მთლიანად ან ნაწილობრივ შედგება ამ მეორე სახელმწიფოში წარმოშობილი მოგებიდან ან შემოსავლიდან.“

მუხლი 2

შეთანხმების 26-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 26 ინფორმაციის გაცვლა

1. ხელშემკვრელ სახელმწიფოთა კომპეტენტურმა ორგანოებმა უნდა გაცვალონ ისეთი ინფორმაცია, რომელიც სავარაუდოდ საჭირო იქნება ამ შეთანხმების დებულებათა შესასრულებლად ან შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის ადმინისტრირების ან გატარების მიზნით ხელშემკვრელი სახელმწიფოების, ან მათი ადმინისტრაციული ერთეულების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ დაწესებულ ნებისმიერი სახისა და აღწერილობის გადასახადებთან მიმართებაში, რომლებით დაბეგვრა არ ეწინააღმდეგება ამ შეთანხმებას. ინფორმაციის გაცვლა არ არის შეზღუდული პირველი და მე-2 მუხლებით.
2. ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია ითვლება საიდუმლოდ, ისევე, როგორც ამ სახელმწიფოს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის ფარგლებში მიღებული ინფორმაცია და მათზე წვდომა შეუძლიათ მხოლოდ იმ პირებს ან ორგანოებს (სასამართლოებისა და ადმინისტრაციული ორგანოების ჩათვლით),

რომელთა კომპეტენციას წარმოადგენს იმ გადასახადების შეფასება ან შეგროვება, იძულებითი წესით ამოღება ან სასამართლო წარმოება ან იმ გადასახადებთან დაკავშირებული სარჩელების განხილვა, რომლებსაც ეხება ამ მუხლის პირველი პუნქტი ან ზემოაღნიშნულის ზედამხედველობა. ეს პირები ან ორგანოები ამ ინფორმაციას გამოიყენებენ მხოლოდ ამგვარი მიზნებისათვის. მათ შეუძლიათ ამ ინფორმაციის გამოყენება სასამართლოს ღია სხდომაზე ან სამართლებრივი გადაწყვეტილებების მიღების დროს. ასეთ შემთხვევებშიც კი, პიროვნებასთან დაკავშირებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა შესაძლოა დაირღვეს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია სხვა პირის კანონიერი ინტერესების ან საზოგადოებრივი ინტერესების დასაცავად. მიუხედავად ამისა, ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ მიღებული ინფორმაციის გამოყენება შესაძლებელია სხვა მიზნებისთვისაც, როდესაც ამგვარი ინფორმაციის ამ მიზნებისთვის გამოყენება შესაძლებელია ხელშემკვრელი სახელმწიფოების შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობისა და ინფორმაციის მიმწოდებელი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს ნებართვის საფუძველზე.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების დებულებები არც ერთ შემთხვევაში არ უნდა იქნეს გაგებული ისე, თითქოს ხელშემკვრელ სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება:

a) გაატაროს ადმინისტრაციული ღონისძიებები, რომლებიც ეწინააღმდეგება ერთ-ერთ ხელშემკვრელ სახელმწიფოში მოქმედ კანონმდებლობას ან ადმინისტრაციულ პრაქტიკას;

b) მიაწოდოს ინფორმაცია, რომლის მოპოვება არ არის ნებადართული ერთ ან მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში მოქმედი კანონმდებლობით ან ჩვეულებრივი ადმინისტრაციული პრაქტიკით;

c) მიაწოდოს ინფორმაცია, რომელმაც შესაძლოა გაამჟღავნოს ნებისმიერი სავაჭრო, სამეწარმეო, სამრეწველო, კომერციული ან პროფესიული საიდუმლოება ან სავაჭრო პროცესი, ან ისეთი ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებაც ეწინააღმდეგება სახელმწიფო პოლიტიკის უსაფრთხოებას (საზოგადოებრივ წესრიგს) ან სახელმწიფოს მიერ მინიჭებულ ძირითად უფლებებს, კერძოდ ინფორმაციის დაცვის სფეროში.

4. თუ ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფო ინფორმაციას მოითხოვს ამ მუხლის დებულებათა შესაბამისად, მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებათა გატარება მოთხოვნილი ინფორმაციის მოსაპოვებლად, მიუხედავად იმისა, ესაჭიროება თუ არა ამგვარი ინფორმაცია მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოს თავისი საგადასახადო მიზნებისათვის. წინა წინადადებაში აღნიშნული ვალდებულება ექვემდებარება მე-3 პუნქტით

განსაზღვრულ შეზღუდვებს, მაგრამ ეს შეზღუდვები არც ერთ შემთხვევაში არ უნდა იქნეს გაგებული ისე, თითქოს ხელშემკერელ სახელმწიფოს ენიჭება უფლება განაცხადოს უარი ინფორმაციის მიწოდებაზე მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ამგვარი ინფორმაცია მას არ ესაჭიროება შიდასახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის.

5. მე-3 პუნქტის დებულებები არც ერთ შემთხვევაში არ უნდა იქნეს გაგებული ისე, თითქოს ხელშემკერელ სახელმწიფოს ენიჭება უფლება უარი განაცხადოს ინფორმაციის მიწოდებაზე მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ინფორმაცია ბანკის, სხვა ფინანსური ინსტიტუტის, ნდობით აღჭურვილი პირის, აგენტის ან მინდობილი მესაკუთრეს განკარგულებაშია ან უკავშირდება პირის საკუთრების უფლების ინტერესებს.

მუხლი 3

ხელშემკერელი სახელმწიფოები დიპლომატიური არხების მეშვეობით ერთმანეთს აცნობებენ ამ ოქმის ძალაში შესვლისათვის განსაზღვრული შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების დასრულების შესახებ. ეს ოქმი ძალაში შედის უკანასკნელი წერილობითი შეტყობინების მიღების დღიდან მესამე თვის პირველ დღეს. ამ ოქმის დებულებები იმოქმედებენ იმ საგადასახადო პერიოდის განმავლობაში, რომელიც იწყება ამ ოქმის ძალაში შესვლის წლის მომდევნო კალენდარული წლის პირველ იანვარს ან მის შემდეგ.

რის დასტურადაც ამ ოქმს ხელი მოაწერეს ხელშემკერელი სახელმწიფოების სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილმა პირებმა.

შედგენილია 201-- წლის ----- ქ. -----, ორ დედნად, თითოეული ქართულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე, ამასთან ყველა ტექსტი თანაბრად აუთენტურია. დებულებათა განმარტებასთან დაკავშირებით უთანხმოების წარმოშობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ტექსტს ინგლისურ ენაზე.

დამატებითი ოქმი

ხელშემკვერელი სახელმწიფოების უფლებამოსილი პირები საქართველოსა და ავსტრიის რესპუბლიკას შორის 2005 წლის 11 აპრილს ქ. ვენაში ხელმოწერილ შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის ოქმის ხელმოწერის დროს შეთანხმდენ, რომ შემდეგი დებულებები განიხილოს ოქმის განუყოფელ ნაწილად:

26-ე მუხლს დაემატოს შემდეგი დებულებები:

- (i) ამ შეთანხმების თანახმად მოთხოვნის წარდგენისას, განმცხადებელი მხარის კომპეტენტურმა ორგანომ მოთხოვნის მიმღები მხარის კომპეტენტურ ორგანოს უნდა მიაწოდოს ამ მოთხოვნის საგარაუდო საჭიროების დამადასტურებელი შემდეგი ინფორმაცია:
 - a) ძიებას ან შემოწმებას დაქვემდებარებული პირის ვინაობა;
 - b) მოთხოვნილი ინფორმაციის შინაარსი და ფორმა, რომელსაც მოითხოვს განმცხადებელი მხარე ინფორმაციის მისაღებად;
 - c) საგადასახადო მიზნები, რომლისთვისაც მოითხოვება ინფორმაცია;
 - d) დასაბუთება, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია გააჩნია მოთხოვნის მიმღებ ხელშემკვერელ მხარეს ან ფლობს ან აკონტოლებს პირი, რომელზეც ვრცელდება მოთხოვნის მიმღები მხარის იურისდიქცია;

e) რამდენადაც ცნობილია, იმ პირის სახელი/დასახელება და მისამართი, რომელიც საგარეუდოდ უნდა ფლობდეს მოთხოვნილ ინფორმაციას;

f) განმარტება, რომ განმცხადებელმა მხარემ გამოიყენა ყველა შესაძლებლობა თავის ტერიტორიაზე ინფორმაციის მოსაპოვებლად, გარდა იმისა, რომელიც გამოიწვევდა არათანაზომიერი სირთულეების წარმოქმნას.

(ii) იგულისხმება, რომ 26-ე მუხლში აღნიშნული ინფორმაციის გაცვლა არ მოიცავს იმ ღონისძიებათა გატარებას, რომლებიც გამოიყენება მაკომპრომეტირებელი ინფორმაციის მოსაპოვებლად;

(iii) იგულისხმება, რომ 26-ე მუხლის მე-5 პუნქტი არ მოითხოვს ხელშემკვრელ სახელმწიფოებისგან ინფორმაციის გაცვლას სპონტანურ ან ავტომატურ რეჟიმში;

(iv) იგულისხმება, რომ გარდა ზემოთხსენებული პრინციპებისა – 26-ე მუხლის ინტერპრეტირებისათვის აგრეთვე გამოიყენება OECD-ის კომენტარები, მათ შორის OECD-ის სამდივნოს მიერ მომზადებული ტექნიკური შენიშვნები, რომელიც დანართის სახით ერთვის ამ დამატებით ოქმს.

რის დასტურადაც ამ დამატებით ოქმს ხელი მოაწერეს ხელშემკვრელი სახელმწიფოების სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილმა პირებმა.

შედგენილია 201-- წლის ----- ქ. -----, ორ დედნად, თითოეული ქართულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე, ამასთან ყველა ტექსტი თანაბრად აუთენტურია. დებულებათა განმარტებასთან დაკავშირებით უთანხმოების წარმოშობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ტექსტს ინგლისურ ენაზე.

საქართველოს
სახელით

ავსტრიის რესპუბლიკის
სახელით

დანართი

**OECD-ის სამოდელო საგადასახადო კონვენციის 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის
ტექნიკური კომენტარი**

OECD-ის სამოდელო საგადასახადო კონვენციის 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბანკო საიდუმლოება არ აბრკოლებს საგადასახადო მიზნებისათვის ინფორმაციის გაცვლას. 26-ე მუხლი აგრეთვე ითვალისწინებს გადასახადის გადამხდელის ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვისათვის საჭირო ღონისძიებებს.

კონვენციის მოდელის შესაბამისად, ინფორმაციის გაცვლა ხორციელდება მხოლოდ მოთხოვნის საფუძველზე. მოთხოვნის წარდგენისას, ინფორმაციის გაცვლა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს ინფორმაცია სავარაუდოდ საჭირო იქნება ხელშემკვერელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის ადმინისტრირების ან გატარების მიზნებისათვის. მხარეებს არ აქვთ უფლება მოიძიონ მტკიცებულებები (“fishing expeditions”) ან მოითხოვონ ისეთი ინფორმაცია, რომელიც არსობრივად არ შეესაბამება აღნიშნული გადამხდელის საგადასახადო საქმიანობას. მოთხოვნის წარმდგენმა კომპეტენტურმა ორგანომ უნდა დაადსტუროს მოთხოვნილი ინფორმაციის სავარაუდო საჭიროება მოთხოვნის მიზნებისათვის. მაგალითად, სახელმწიფოს არ აქვს უფლება უსაფუძვლოდ მოითხოვოს ინფორმაცია მისი რეზიდენტის მიერ მეორე სახელმწიფოს ბანკში გახსნილი საბანკო ანგარიშების შესახებ. აგრეთვე, გადასახადის გადამხდელის აუდიტორული შემოწმების დროსაც კი, საგადასახადო ადმინისტრაციას არ აქვს უფლება მოითხოვოს ინფორმაცია გადასახადის კონკრეტულ გადამხდელზე, როდესაც არცერთი გარიგება ან მითითება შესაძლო გარიგების არსებობაზე არ უკავშირდება მეორე სახელმწიფოს. მეორეს მხრივ, მაგალითად, როდესაც საგადასახადო ადმინისტრაცია აფასებს გადასახადის კონკრეტული გადამხდელის საგადასახადო

ვალდებულებებს და აქვს ეჭვი, რომ მას გააჩნია მეორე სახელმწიფოში საბანკო ანგარიში, კომპეტენტურ ორგანოს უფლება აქვს მოითხოვოს ინფორმაცია ამ კონკრეტული გადამხდელის შესახებ. ამგვარი მოთხოვნა ასევე შესაძლებელია, მაგალითად რიგი გადამხდელების მიერ მეორე სახელმწიფოში მდებარე ბანკის ოფშორული საკრედიტო ბარათების ფლობის ფაქტის გამოვლენისას. მიუხედავად ამისა, თხოვნის წარმდგენმა სახელმწიფომ თავის ტერიტორიაზე უნდა უზრუნველყოს ყველა ღონისძიების გატარება მოთხოვნილი ინფორმაციის მოსაპოვებლად. აღნიშნული საკითხის დეტალურად განხილვის მიზნით, იხილეთ OECD-ის სამოდულო საგადასახადო კონვენციის 26-ე მუხლის და ინფორმაციის გაცვლის სამოდულო შეთანხმების მე-5 მუხლის კომენტარები.

გაცვლილი ინფორმაცია ექვემდებარება კონფიდენციალურობის მკაცრ წესებს. 26-ე მუხლში ნათლადაა ასახული, რომ ამგვარად გაცვლილი ინფორმაცია ითვლება საიდუმლოდ და მისი გამოყენება ნებადართულია მხოლოდ კონვენციაში აღნიშნულ შემთხვევებში. ყველა სახელმწიფოში დაწესებულია ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლის სანქციები საიდუმლოების დარღვევის შემთხვევაში. ჩვეულებრივ, მეორე სახელმწიფოდან მიღებული გადასახადებთან დაკავშირებული ინფორმაციის ნებართვის გარეშე გამჟღავნება წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს და დასჯადია თავისუფლების აღკვეთით.

აღნიშნული განმარტებებიდან გამომდინარე, რომელიც შესაძლებელია იხილოთ OECD-ის სამოდულო საგადასახადო კონვენციის კომენტარებში და აგრეთვე ინფორმაციის გაცვლის შესახებ OECD-ის სახელმძღვანელოში, საბანკო საიდუმლოება არ არის შეუთავსებელი საგადასახადო მიზნებისათვის ინფორმაციის ეფექტურ გაცვლასთან. ყველა სახელმწიფოს გააჩნია საბანკო საიდუმლოების ან კონფიდენციალურობის წესები. საერთაშორისო სტანდარტების შესრულება ინფორმაციის გაცვლის სფეროში მოითხოვს საბანკო საიდუმლოების წესებიდან მხოლოდ რამდენიმე გამონაკლისის დაშვებას და არ არღვევს მოქალაქეების პირადი ინფორმაციის კონფიდენციალურობას.